საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

წლიური ანგარიში

2020

WWW.GASW.ORG
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია/GASW

მოგესალმებით, ძვირფასო ასოციაციის წევრებო,

უკვე ერთ წელიწადზე მეტია, პატივი გვაქვს, ვხელმძღვანელობდეთ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას. გვსურს, ასოციაციის წევრებს შუალედური ანგარიშის სახით მოგახსენოთ ასოციაციის მიმდინარე და უკვე დასრულებული პროექტების შესახებ.

ასოციაცია სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობს და შესაბამისად, ახორციელებს პროექტებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც პროფესიული თვალსაზრისით განახორციელა ასოციაციამ, შეეხება ბავშვის უფლებათა კოდექსის აღსრულების მხარდაჭერას. პროექტი "ინტერვენციები ბავშვის უფლებათა კოდექსის აღსრულების მხარდასაჭერად" ხორციელდება საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ **UNICEF-**ის მხარდაჭერით (**USAID-**ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში "შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა დაცვა"). პროექტის ფარგლებში შემუშავდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის, უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზამკვლევი ბავშვის უფლებათა კოდექსის აღსრულებისთვის. ასევე, შეფასების ფორმები მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკებისათვის. ამასთან, შემუშავდა ოჯახების გაძლიერების მუნიციპალური პროგრამების კონცეფცია.

2020 წლის ოქტომბრიდან კი, ამავე პროექტის ფარგლებში, ასოციაცია მუშაობს სოციალური მუშაკებისა და სასამართლოს კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფის ხელშეწყობისთვის. ასევე, სოციალური მუშაობის კანონის აღსრულების ხელშეწყობის მიზნით მინდინარეობს სოციალური მუშაობის პროფესიული ეთიკის კოდექსის და პროფესიული სტანდარტების განახლება და მათი კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. შემუშავდა სოციალური მუშაკების უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესიც. ეს პროცესი თანამონაწილეობითია და მასში ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები აისახება. კერძოდ, კოდექსის დეტალური განხილვა და შეთანხმება მოხდა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებთან, 2020 წლის 25 დეკემბერს კი ჩატარდა კოდექსის ღია განხილვა ასოციაციის წევრებთან. **სულ მალე პროფესიას ახალი ეთიკის კოდექსი ექნება, რომელიც კანონითაც განმტკიცდება. ეს სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარებაში ნამდვილად მნიშვნელოვანი ფაქტია. ვულოცავთ პროფესიულ თემს ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას!**



ასევე ერთი მნიშვნელოვანი პროცესი შეეხება სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ეფექტური მუშაობის მხარდაჭერას, კერძოდ, სოციალური მუშაკებისთვის შემუშავდა სპეციალიზაციის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სააგენტოში სოციალური მუშაკები იმუშავებენ კონკრეტული მიმართულებების მიხედვით. აღნიშნული დაყოფა საშუალებას მისცემს სააგენტოს, განსაზღვროს სოციალური მუშაკის დატვირთვა, სოციალური მუშაკების რაოდენობის მიზანმიმართული ზრდა და სოციალურ მუშაკთა დახელოვნება კონკრეტული მიმართულებებით, ზოგადად კი, გაზარდოს ბენეფიციართა მომსახურების ხარისხი. სამომავლოდ იგეგმება სააგენტოს სოციალური მუშაკების უნარების გაძლიერება არსებული შემთხვევის მართვის მოდელის დახვეწით, არსებული სამუშაო ფორმების დახვეწითა და ახალი სასწავლო მოდულების შემუშავების გზით.

ასოციაცია აგრძელებს მუშაობას პროფესიული გადამზადების მიმართულებით. World Vision-ის მხარდაჭერით, პროექტის "ზრუნვის სისტემის სოციალური მუშაკების უნარების გაძლიერება" ფარგლებში, ასოციაციამ მოამზადა სატრენინგო მოდული სახელმწიფო ზრუნვის სოციალური მუშაკებისთვის (სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო), რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური მუშაკების ცოდნის გაღრმავებას შემდეგი მიმართულებებით: კონსულტირება სოციალურ მუშაობაში, ოჯახთან მუშაობა/კონსულტირება, ბავშვის რთული ქცევის მართვა და პროფესიული გადაწვა. ამ დროისთვის 130-ზე სოციალურმა მუშაკმა მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ტრენინგში.

ასევე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მხარდაჭერით მომზადდა სპეციალური სატრენინგო მოდულები მოსამართლეებისთვის, ხოლო ადრეული ჩარევის კოალიციის მხარდაჭერით კი, სპეციალისტებისთვის მომზადდა ტრენინგი ძალადობის რეფერირების წესების შესახებ. გარდა ამისა, ზიანის შემცირების ქსელის სპეციალისტებისთვის მომზადდა ტრენინგი კომუნიკაციის უნარების გაძლიერებაზე და სოციალური მუშაობის ინტერვიუს ჩატარების ტექნიკებზე. პაციენტთა კავშირის სპეციალისტებისთვის მომზადდა ტრენინგი ადამიანის სოციალური საჭიროებების შესახებ.

პროფესიული გაძლიერებისა და საგანამანათლებლო მუშაობის გარდა, ასოციაციის ერთ-ერთი მკაფიოდ გამოხატული ინტერესი შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ფსიქო-სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

პროექტების "შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის სოციალური მოდელის პილოტირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში" და "შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის სოციალური მოდელის პილოტირება აჭარის რეგიონში" მიზანია სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის პროცესის ფასილიტაცია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით პოლიტიკის სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა.

აღნიშნული პროექტები ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით. პროექტების განხორციელებაში ასოციაციამ ასევე წარმატებით ითანამშრომლა "საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციასთან" და "კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრთან". ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა კიდევ მეტად გამოაჩინა კვლევების და მეცნიერული გაზომვების როლი სოციალურ სფეროში ეფექტური მომსახურებების განვითარების მიზნით.

პროექტის ფარგლებში მომზადდა შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის - ფუნქციური შეფასების (WHODAS), სოციალური საჭიროების შეფასების კითხვარი, ბავშვის შეფასების კითხვარი, ექიმის ფორმა, მულტიდისციპლინური გუნდის ფორმა და სხვა. ამ პროექტების ფარგლებში მოვიცავით **1000**-მდე ბენეფიციარი, რომლებიც შეფასდნენ სპეციალურად გადამზადებული ფუნქციური შეფასების სპეციალისტების მიერ. შემთხვევის მართვის პროცესში ჩართულები არიან სოციალური მუშაკები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, იმის გათვალისწინებით, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის მომავალში განხორციელდეს ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაფუძნებული შეფასება, შესაბამისად დაიგეგმოს მომსახურებები, გამოყენებულ იქნას მულტიდისციპლინური მიდგომა, სადაც სხვადასხვა პროფესიონალი: ფუნქციური შეფასების სპეციალისტი, შემთხვევის მმართველი (სოციალური მუშაკი) და ექიმი ეფექტურად წარმართავენ თითოეული ბენეფიციარის შემთხვევას.



გარდა ამისა, ხორციელდება საერთაშორისო პროექტი: **"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი უფლებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ჰოლისტიკური მიდგომით აზერბაიჯანში, საქართველოში და მოლდოვაში".** ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის პარტნიორები არიან აზერბაიჯანის სოციალურ მუშაკთა სახალხო გაერთიანება და მოლდოვის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

პროექტი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საჭიროებების დადგენას და დამსაქმებელთა საჭიროებების გამოკვეთას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების მიზნით, ასევე ასოციაციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და დასაქმებლების დამაკავშირებელი დანაყოფების შექმნას; პროექტის ფარგლებში განხორციელდება ცნობიერების ამაღლების კამპანია შშმ პირთა დასაქმების უფლებებთან დაკავშირებით. პროექტის მიზანია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების გარემოს შეფასებას და დასაქმების მიზნით შესზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და გამოწვევების გამოვლენას.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე შეიქმნა სატრენინგო მოდული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების უფლებების შესახებ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და ასევე, ტრეინინგ მოდული დამსაქმებელი ორგანიზაციებისთვის.

პროექტის ფარგლებში იგეგმება დასაქმებული შშმ პირების წარმატებული შემთხვევების შესახებ პოსტერების შექმნა და მათი ონლაინ სივრცეში პოპულარიზაცია.

დაგეგმილია ტრენინგები შშმ პირებისთვის და დამსაქმებელი ორგანიზაციებისთვის.

მიმდინარეობს მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელიც ძირითადად განკუთვნილი იქნება დამსაქმებელი ორგანიზაციებისთვის.

აღნიშნულ სახელმძღვანელოზე დაფუძნებით ჩატარდება ვებინარები (სამიზნე ჯგუფები: სოციალური მუშაკები).

პროექტის მდგრადობისა და მისი მიზნების განხორციელებისთვის მოიაზრება თანამშრომლობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებთან.

კიდევ ერთი პროექტი **"ქმედუნარიანობის ინსტიტუტის დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში") შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდასაჭერად ხორციელდება.** პროექტის მიზანია ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის ხელშეწყობა.

პროექტი ხორციელდება ფონდი ღია საზოგადოების პოლიტიკის ცენტრის დაფინანსებით. პროექტს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ახორციელებს პარტნიორებთან ერთად: "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი" (EMC); "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის" (PHR) და "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი" (GIP – Tbilisi).

პროექტის ამოცანებია:

- ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციის ხელშეწყობა სამართლებრივი და პრაქტიკული ბარიერების აღმოფხვრის გზით;
- ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის წარმომადგენლების, მათი ოჯახის წევრებისა და მხარდამჭერების გაძლიერება;
- საზოგადოების დამოკიდებულებების ცვლილების ხელშეწყობა ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების ხილვადობის გაზრდით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის სირთულეები, რომლებსაც აწყდებიან სოციალური მუშაკები ქმედუნარიანობის რეფორმაში ჩართულობის დროს. გამოკვეთილი ძირითადი ბარიერებია: მათთვის ამ მიმართულებით სამუშაო მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების არარსებობა, მხარდამჭერების იდენტიფიცირების პროცესში არაერთი დაბრკოლება და მხარდასაჭერ პირებთან კომუნიკაციის სირთულე, გამაძლიერებელი სერვისების არ არსებობა, მონიტორინგის პროცესის ფორმალურობა.

პროექტის ფარგლებში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ განხორციელდა თვისებრივი კვლევა 2019 და 2020 წელს, რომელშიც მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები/ბენეფიციარები (დღის ცენტრი) და მათი მხარდამჭერები, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკები, უფროსი სოციალური მუშაკები და ამასთანავე, კვლევის ნაწილში მიმოვიხილეთ საერთაშორისო ლიტერატურა და პრაქტიკა.

პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა სამუშაო შეხვედრა და ტრენინგები სოციალური მუშაკებისთვის ქმედუნარიანობის რეფორმის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან/მათ ოჯახებთან მუშაობის მიმართულებით. ასევე, ჩატარდა ტრენინგი ჟურნალისტებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაცნობის მიზნით. პარტნიორმა ორგანიზაციებმა პროექტის ფარგლებში ჩაატარეს სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო უწყებებთან კვლევის პირველადი მიგნებებისა და რეკომენდაციების გასაცნობად და მათი პოზიციების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. 24 დეკემბერს კი ჩატარდა კვლევის წარდგენა საზოგადოებისთვის. კვლევას მომავალში შესაბამისი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს რეკომენდაციების აღსრულებისთვის.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ფოკუსია ასევე ხანდაზმული ადამიანებისთვის საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარება პროექტის "მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში" ფარგლებში.

პროექტი 2020 წლის იანვრიდან ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ოპერაციული უწყების დაფინანსებით. პროექტის ხელმძღვანელია Hilfswerk International (HWI) – ვენა, ავსტრია. საქართველოში პროექტის პარტნიორები არიან: იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" (IDPWA), საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრი (CSRDG). პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი და დასრულდება 2023 წლის დეკემბერში.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ხანდაზმულების ხელმისაწვდომობის ზრდას შინმოვლის მომსახურებებზე საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ამასთან, წვლილი შეიტანოს ინკლუზიური სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს შექმნაში, რომელიც მიმართული იქნება ხანდაზმულების გაძლიერებასა და სოციალიზაციაზე.

აგრეთვე, პროექტის ფარგლებში იფუნქციონირებს დღის ცენტრები, სადაც ხანდაზმულებს შეეძლებათ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, კომუნიკაცია ჰქონდეთ სხვა ხანდაზმულებთან, დაისვენონ და ა.შ.

პროექტის ფარგლებში იგეგმება შინმოვლის მომსახურების განვითარება და ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც დაკავშირებული იქნება უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან, განსაკუთრებით კი, ავსტრიულ ცოდნასთან ინტეგრირებული შინმოვლის მომსახურებების საკითხზე.

ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტის მერები, მერის მოადგილეები, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურების ხელმძღვანელები, შეირჩა შესაბამისი მუნიციპალიტეტები მომსახურების დანერგვისთვის და პილოტირებისთვის.

კვლევის მეორე ეტაპისთვის იგეგმება სამიზნე ჯგუფის კვლევა, რათა რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე, შექმნილი მომსახურებები მაქსიმალურად პასუხობდეს ხანდაზმულების საჭიროებებს და ამასთან, დაინერგოს გრძელვადიანი და მდგრადი მომსახურება.

პროექტი პირველი ეტაპისთვის გეგმავს ბერჩეულ მუნიციპალიტეტებში შინმოვლის მომსახურება გაუწიოს 50 ხანდაზმულს. მომსახურების მიწოდებაში ჩართული იქნება 10 გადამზადებული პროფესიონალი მოვლელი შინმოვლის ჯგუფში და ამასთანავე, ჩართვება სულ მცირე 20 მოხალისე აგრეთვე, პროექტის მიმდინარეობისას დღის ცენტრის მომსახურებას (იფუნქციონირებს მხარდამჭერი სახლის ბაზაზე) მიიღებს 140 ხანდაზმული. ასოციაცია მუშაობს ხანდაზმულთათვის მომსახურების კონცეფციაზე.

საგანგებო სიტუაციის გამოცხადებისთანავე, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ განახორციელა საქველმოქმედო აქტივობები, რომელთა მიზანიც იყო COVID-19-ით გამოწვეული სირთულეების შემცირება, კერძოდ, GASW-ის თანამშრომლები მუშაობდნენ ადგილობრივ თვითმმართველობასთან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოწყვლადი ოჯახების/პირების და/ან ისეთი ადამიანების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით დაზიანა იზოლაციამ და ჩაკეტვამ. ამ პირებს ასოციაციამ გაუწია ჰუმანიტარული დახმარება 140 -ზე მეტ ოჯახს, ასოციაციამ მათ გადასცა მედიკამენტები, საკვები და დაუკმაყოფილა სხვა სამედიცინო საჭიროებები.საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აღნიშნულ აქიტივობას კვლავ აგრძელებს.

ზოგად გამოწვევად რჩება კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული ზიანი საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფეროში. ამ მხრივ არ არის გამონაკლისი სოციალური მუშაობაც. პანდემიის საწყის ეტაპზე, მარტში, ჩაატარა სწრაფი მოკვლევა საქართველოში სოციალური მუშაკების გამოწვევებთან დაკავშირებით კოვიდის პირობებში მომსახურების გაწევის საჭიროებების შესასწავლად. კვლევის შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების ადვოკატობა მოხდა შესაბამის უწყებებთან. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სოციალური მუშაკებისთვის სახელმწიფო ღონისძიებების უზრუნველყოფა, რომლებიც მათ დაიცავთ კოვიდით დაინფიცირებისაგან, რადგან სამედიცინო მუშაკებთან ერთად, ისინიც უნდა განიხილებოდნენ წინა ხაზზე მომუშავე სპეციალისტებად, რომლებიც დაინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ არიან. ამ მხრივ, სახელმწიფო ვალდებულია, მათი უსაფრთხო მუშაობისთვის შექმნას შესაბამისი პირობები.

გარდა ამისა, ასოციაციამ დაგეგმა და განახორციელა საგანმანათლებლო ონლაინ აქტივობები, ამასთან, შექმნა მხარდაჭერის ონლაინ პლატფორმა სოციალური მუშაკებისთვის.

ივნისის თვიდან ასოციაცია ატარებს ვებინარების სესიებს სხვადასხვა პროფესიულ თემაზე. ვებინარების საშუალებით განიხილება სფეროში მიმდინარე სიახლეები, ასევე არსებულ გამოწვევები და გადაჭრის გზებიც.

ვებინარები წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგ თემებზე:

- ☑ სოციალურ მუშაკთა გამოწვევები პანდემიის დროს საქართველოში
- ☑ "ბავშვთა ინსტიტუციური ზრუნვის ტენდენციები საქართველოში"
- ☑ "ყრუ-უსინათლო, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა გამოწვევები COVID-19-ის პანდემიისას და სოციალური მუშაკის როლი"
- ☑ ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების მნიშვნელობა
- ☑ ლგბტ თემის უფლებრივი მდგომარეობა, არსებული გამოწვევები, პანდემიის გავლენა თემზე და სოციალური მუშაკის როლი - საქართველოს გამოცდილება
- ☑ სოციალური მუშაკების მიერ მოგებული სასამართლო პროცესი
- ☑ ERASMUS MUNDUS - საერთაშორისო სოციალური მუშაობის პროგრამის წარდგენა
- ☑ შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ზრუნვის მართვა საფრანგეთში









აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ 2 საერთაშორისო კონფერენციაზე წარადგინა კვლევა და გამოვიდა მოხსენებით. ესენია:

ჩეხეთი - Palacky University - საერთაშორისო კონფერენცია - ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობა - მოხსენება: ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობა - საქართველოს გამოცდილება, სოციალური მუშაკის როლი", მომხსენებელი ქეთევან გიგინეიშვილი (10.2019);

ავსტრია - IFSW ევროპის კონფერენცია: "სოციალური დაცვა" მოხსენება - "სოციალური მუშაობის ინტერვენციის ეფექტი სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე", ავტორები: შორენა საძაგლიშვილი, ნინო შატბერაშვილი, ნელი აკობია, მომხსენებელი ქეთევან გიგინეიშვილი (09.2019);

2020 წელს კი გამოვაქვეყნეთ სტატია Scottish Journal of Residential Child Care SJRCC Special Feature: Reflections on COVID-19. სტატიის სათაური: "საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის როლი კოვიდ-19-ის საპასუხო რეაგირების და სათანადო მხარდაჭერის პროცესში" ავტორები: ნათია ფარცხალაძე, შორენა საძაგლიშვილი, ქეთევან გიგინეიშვილი.

"სოციალური პედაგოგიკა სოციალურ მუშაობაში" საძაგლიშვილი შ., გიგინეიშვილი ქ. უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების პრაქტიკის კურსი, პედაგოგიკისა და განათლების კონცეფციები, კრებული ნომერი 12, ეკატერინბურგი, ISBN 978-5-7186-1704-7. რ. შტაინერის უნივერსიტეტი, 2020.

ასოციაციამ, როგორც **"კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის"** წევრმა ორგანიზაციამ, პროექტის **„გავაძლიეროთ ბავშვების ხმა"** ფარგლებში, სხვა წევრ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **საანგარიშო ბარათის** მომზადებაში, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ აფასებდა სახელმწიფოს მუშაობას 2019 წელს.

ანგარიში მოიცავს შემდეგი სფეროების მიმოხილვას:

- სოციალური მუშაობა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში;
- პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები;
- რეინტეგრაციის პროგრამის შეფასება;
- ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების დანერგვის პოლიტიკა და პრაქტიკა;
- ბავშვთა ინსტიტუციური ზრუნვის ტენდენციები;
- ბავშვთა სიღარიბე და დეინსტიტუციონალიზაცია;
- ბავშვთა მიმართ ძალადობა;
- მკვდრად შობადობის და ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის პრობლემა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა.

ანგარიში განთავსებულია კოალიციისა და ასოციაციის ვებ-გვერდებზე.

დასასრულს გვინდა, მოკლედ შევეხოთ იმ გამოწვევებსაც, რომლებიც მრავლად იყო გასული წელიწად ნახევრის განმავლობაში. ერთი მხრივ, ეს გახლავთ სოციალური მუშაკების შრომითი უფლებების დარღვევა. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია განსაკუთრებით დაინტერესებულია თითოეული სოციალური მუშაკის პროფესიული წინსვლით. ამდენად, ის პროცესები, რაც გამოიწვია სახელმწიფო ზრუნვის დეპარტამენტის რეორგანიზაციის პროცესში სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში გადასვლით და გამოიხატა სოციალური მუშაკების სამსახურიდან დათხოვნით, ასოციაციისთვის მიუღებელია.

ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული 2019 წელს სოციალურ აქტივიზმში, კერძოდ, ასოციაციის მიერ გაფიცული სოციალური მუშაკების მხარდასაჭერად დაიგეგმა და განხორციელდა ბუნკერები და კონსულტაციები.

აქვე გვსურს, შევეხოთ მიმდინარე წელს სფეროში კადრების შემოდინების პროცესს, კერძოდ, **მიუღებელად მიგვაჩნია ნეპოტიზმი - ვაკანსიების გამოცხადების გარეშე სოციალური მუშაკების პოზიციებზე გამოცდილების არ მქონე პირების დასაქმება მუნიციპალიტეტებში.** ასოციაციის მკაფიო პოზიცია გაჟღერდა სათანადო სამსახურებში, თუმცა, სამწუხაროდ, არ მოჰყოლია რეაგირება და შედეგი. ამჯერად, ასოციაცია აქტიურად ახორციელებს ადვოკატობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რათა არ მოხდეს ჯანდაცვის სფეროში არასათანადო კადრის დასაქმება.

ამასთან, ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიის განვითარებას სხვადასხვა უწყებაში, მათ შორის, სოციალური მუშაობის დანერგვას ჯანდაცვის სფეროში (რასაც სოციალური მუშაობის შესახებ კანონი ითვალისწინებს), ამ პროცესშიც ასოციაცია თანამშრომლობს შესაბამის უწყებასთან პროფესიული ექსპერტიზის გაზიარების მხრივ.

სამწუხაროდ, პანდემიის გამო ძვირფას კოლეგებთან შეგვეზღუდა პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება, რაც ძალიან გვაღელვებს. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ მომდევნო წლის განმავლობაში მოგვეცემა შესაძლებლობა, ავანაზღაუროთ დაკარგული დრო გასვლითი პროფესიული ღონისძიებებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვგეგმავთ მრავალ ღონისძიებას, რომელიც კიდევ უფრო გააქტიურებს ჩვენს ონლაინ კომუნიკაციას. გვსურს, წევრებს შევთავაზოთ **უფასო ონლაინ ტრენინგები**. ასოციაცია მიმდინარე წელს შემოსულ საწევროებს, მიუხედავად მცირედი ოდენობისა, გამოიყენებს უფასო ონლაინ ტრენინგების ორგანიზებისთვის, ასოციაციის წევრი სოციალური მუშაკებისთვის. ასევე, დაორგანიზდება **შეხვედრები საინტერესო ექსპერტებთან** სხვადასხვა თემაზე. ვგეგმავთ **ონლაინ ბიბლიოთეკის გაკეთებას,** რათა ასოციაციის მიერ შექმნილ ლიტერატურაზე და კვლევებზე წვდომა ჰქონდეს ყველა დაინტერესებულ პირს და პროფესიულ საზოგადოებას. ამას გარდა, ვგეგმავთ **პროფესიის პოპულარიზაციაზე ზრუნვას.** გვაქვს სხვა, ახალი ინიციატივები წევრებისთვის, რის შესახებაც დროდადრო გაცნობებთ. ჩვენთვის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრებების გათვალისწინება, შესაბამისად, პერიოდულად ჩავატარებთ მოკვლევებს.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს გუნდს ამ რთული გამოწვევების პერიოდში აქტიური შრომისთვის და პროფესიონალიზმისთვის.

შორენა საძაგლიშვილი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე

ქეთევან გიგინეიშვილი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორი

GASW-ის გუნდი
27 დეკემბერი, 2020

სოციალური მოდელის პილოტირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

პროექტი **"შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის სოციალური მოდელის პილოტირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში"** 2019 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს. თავდაპირველი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, სპეციალურად გადამზადებულმა ფუნქციური შეფასების სპეციალისტებმა 2020 წლის იანვარში დაიწყეს სტატუსის მაძიებელი პირების შეფასება.

1 წლის განმავლობაში პილოტში დაახლოებით 214-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა გაზაფხულზე კარანტინის გამოცხადების გამო ველზე მუშაობა შეჩერებული იყო 3 თვის განმავლობაში, ასევე, ველზე მუშაობა შეჩერებულია ამ ეტაპზეც, რეგიონში კოვიდ სიტუაციის გამწვავების გამო. თუმცა დეკემბრის თვიდან სპეციალისტებმა დაიწყეს დისტანციური შეფასებების პილოტირება, რომელშიც უკვე 30-ზე მეტი ადამიანი ჩაერთო.

	პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები
✓	სათემო შეხვედრები რეგიონში, პილოტის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით;
✓	რეგიონში არსებულ მომსახურებათა ბაზის შექმნა;
✓	კითხვარების დახვეწა და ადაპტირება ეთნიკური უმცირესობებისთვის (რუსულ და სომხურ ენებზე);
✓	სტატუსის მაძიებელთა შეფასება და მულტიდისციპლინური შეხვედრების გამართვა;
✓	საინფორმაციო ბაზის წარმოება პროექტისთვის სპეციალურად შექმნილ პროგრამაში, რომელიც მისი დამუშავების და ანალიზის საშუალებას იძლევა;
✓	პილოტში მონაწილე პირთა უკუკავშირის მიღება და დამუშავება, პროცესის გაუმჯობესებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით (3 თვეში ერთხელ);
✓	პროფესიონალთა აქტიური სუპერვიზია და მუდმივი გადამზადება;
✓	ახალი კადრების გადამზადება (2-თვიანი ტრენინგი) ეთნიკურ უმცირესობებთან სამუშაოდ;
✓	ექიმების გადამზადება ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის უკეთ განსახორციელებლად;
✓	ონლაინ შეფასებების წარმოებისთვის თანამშრომელთა მომზადება და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;
✓	კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე, ონლაინ შეფასებების განხორციელება;
✓	ფუნქციური შეფასების სპეციალისტების გადამზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებთან მუშაობაში.
✓	მონაცემების მომზადება სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზისთვის ფრანგ ექსპერტებთან ერთად.
✓	ფრანგი ექსპერტების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარება.

გარდა ზემოხსენებული ღონისძიებებისა, 11 სექტემბერს სამუშაო ვიზიტით ახალციხეში იმყოფებოდნენ საფრანგეთის განვითარების სააგენტოს, ""ექსპერტიზ ფრანსის"" და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ახალციხის მერიაში, სადაც პროექტის მიმდინარეობის, მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის, ურთიერთთანამშრომლობისა და სამომავლო გეგმების შესახებ იმსჯელეს. გარდა ამისა, ვიზიტორები შეხვდნენ პროექტში დასაქმებულ ადგილობრივ თანამშრომლებსაც.

პილოტში მონაწილეთა ნაწილმა, როგორც მოწყვლადმა ჯგუფმა, დონორებისგან 2 ეტაპად მიიღო სასურსათო და სამედიცინო პაკეტებით დახმარება, კოვიდ-19-ით გამოწვეული ზიანის შემსუბუქებისა და მათი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. სულ დახმარება გაწია 130-ზე მეტ ოჯახს.

პროექტის დასასრულს იგეგმება მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, პროექტის შედეგების შეფასება და სამინისტროსთვის რეკომენდაციების შემუშავება.

პროექტი "ექსპერტიზ ფრანსი" ტექნიკური მხარდაჭერით და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ხორციელდება და მომავალი წლის ივლისამდე გაგრძელდება.

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ახორციელებს პროექტს "ქმედუნარიანობის ინსტიტუტის დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში" პარტნიორიებთან ერთად: "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი" (EMC); "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის" (PHR) და "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი" (GIP – Tbilisi) ფონდი ღია საზოგადოების პოლიტიკის ცენტრის დაფინანსებით. პროექტის მიზანია ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვის ხელშეწყობა.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა ქმედუნარიანობის რეფორმის ფარგლებში არსებული გამოწვევების შესწავლის მიზნით. ჩატარდა ფოკუს ჯგუფები მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის ცენტრის ბენეფიციარებთან და მათ მხარდამჭერებთან. ასევე, კვლევის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო ლიტერატურის და პრაქტიკის ანალიზი. იგეგმება კვლევის საბოლოო ანგარიშის ფინალიზება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა სირთულეები, რომელსაც აწყდებიან სოციალური მუშაკები ქმედუნარიანობის რეფორმაში ჩართულობის დროს. ძირითადი ბარიერებია:

- **სოციალური მუშაკების მხარდაჭერის ნაკლებობა უნარების გაძლიერების მხრივ, მათთვის ამ მიმართულებით სამუშაოდ მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების არარსებობა;**
- **მხარდამჭერების იდენტიფიცირების პროცესში არაერთი დაბრკოლება და მხარდასაჭერ პირებთან კომუნიკაციის სირთულე;**
- **მხარდამჭერი სერვისების არარსებობა;**
- **მონიტორინგის პროცესის ფორმალურობა.**

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს **70** სოციალური მუშაკისთვის.

ტრენინგის მიზანია ქმედუნარიანობის პროცესში ჩართული სოციალური მუშაკების გაძლიერება ახლიდან რეფორმასთან დაკავშირებით და მათთვის ინფორმაციის მიწოდება კვლევის შედეგების, საერთაშორისო გამოცდილების, სოციალური მუშაობის როლის ჩვენება რეფორმაში ხარისხიანი ჩართულობისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ ოჯახებთან და მხარდამჭერ პირებთან სოციალური მუშაობის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის მიზნით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი უფლებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ჰოლისტიკური მიდგომით აზერბაიჯანში, საქართველოში და მოლდოვაში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ახორციელებს პროექტს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი უფლებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ჰოლისტიკური მიდგომით აზერბაიჯანში, საქართველოში და მოლდოვაში" პარტნიორ ორგანიზაციებთან - აზერბაიჯანის სოციალურ მუშაკთა სახალხო გაერთიანება და მოლდვის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია - თანამშრომლობით.

პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საჭიროებების დადგენა და დამსაქმებელთა საჭიროებების გამოკვეთა შშმ პირების დასაქმების მიზნით, პროექტის ფარგლებში განხორციელდება ცნობიერების ამაღლების კამპანია შშმ პირთა დასაქმების უფლებებთან დაკავშირებით.

სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ განახორციელა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების გარემოს შეფასებას და დასაქმების მიზნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და გამოწვევების გამოვლენას. ჩატარდა ინტერვიუები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან და დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა სატრენინგო მოდული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების უფლებების შესახებ თავად თემის წარმომადგენლებისთვის და ასევე ტრენინგ მოდული დამსაქმებელი ორგანიზაციებისთვის. დეკემბრის თვეში იგეგმება აღნიშნულ ჯგუფებთან ტრენინგების ჩატარება.

მიმდინარეობს მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელიც განკუთვნილი იქნება დამსაქმებელი ორგანიზაციებისთვის. აღნიშნულ სახელმძღვანელოზე დაფუძნებით ჩატარდება ვებინარები სოციალური მუშაკებისა და მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებისთვის. პროექტის ფარგლებში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან.

მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში

პროექტი "მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღეგრძელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში". პროექტი 2020 წლის იანვრიდან ხორციელდება ავსტრიის განვითარების სააგენტოს, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ოპერაციული უწყების დაფინანსებით. პროექტის ხელმძღვანელია Hilfswerk International (HWI) - ვენა, ავსტრია. საქართველოში პროექტის პარტნიერობები არიან: იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" (IDPWA), საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრი (CSRDG). პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი და დასრულდება 2023 წლის დეკემბერში.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხანდაზმულების ხელმისაწვდომობის ზრდას შინმოვლის მომსახურებებზე საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ამასთან, წვლილი შეიტანოს ინკლუზიური სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს შექმნაში, რომელიც მიმართული იქნება ხანდაზმულების გაძლიერებაზე და სოციალიზაციაზე.

პროექტის ფარგლებში იგეგმება შინმოვლის მომსახურების განვითარება და ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც დაკავშირებული იქნება უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან, განსაკუთრებით კი, ავსტრიულ ცოდნასთან ინტეგრირებული შინმოვლის მომსახურებების საკითხზე. აგრეთვე, პროექტის ფარგლებში იფუნქციონირებს დღის ცენტრები, სადაც ხანდაზმულებს შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, კომუნიკაცია ქონდეთ სხვა ხანდაზმულებთან, დაისვენონ და ა.შ.

პროექტის ფარგლებში, ივნისიდან მიმდინარეობდა რეგიონების შერჩევა კვლევისთვის. რომლის შედეგადაც შიდა ქართლში შერჩეული იყო ორი მუნიციპალიტეტი - გორი და კასპი, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში - ბოლნისი და დმანისი. ჩატარებული სიღრმისეული კვლევის შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურების ხელმძღვანელები, შეირჩა გორი და დმანისი მომსახურების დანერგვისთვის და პილოტირებისთვის.

ამასთან, შერჩეული მუნიციპალიტეტების მიხედვით მომზადდა გზამკვლევი დღეგრძელთათვის". გზამკვლევში თავმოყრილია მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების აღწერა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ხანდაზმულების კეთილდღეობასთან. აგრეთვე, მოიცავს საავადმყოფოების, ოჯახის ექიმების, კულტურული ღონისძიებების და დაწესებულებების, COVID-19-თან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციას და ა.შ.

კვლევის შემდგომ ეტაპზე იგეგმება სამიზნე ჯგუფების კვლევა, რათა რეგიონების სპეციფიკიდან გამომდინარე, სერვისები მაქსიმალურად პასუხობდეს ხანდაზმულების საჭიროებებს და ამასთან, დაინერგოს გრძელვადიანი და მდგრადი მომსახურება, რომელშიც ხანდაზმულები გადაიხდიან გარკვეულ თანხას.



GASW-ის გუნდი

ზორანა საკაგლიშვილი
PhD, MSW
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავჯდომარე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალური მუშაობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი
პროფესორი

ქეთევან გიგინეიშვილი
დოქტორანტი
საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორი
სოციალური მუშაობის მაგისტრი

ნათია მაჭარაშვილი
სოციალური მუშაობის მაგისტრი
პროექტის მენეჯერი
ტრენერი

გურანდა თეთრაძე
MA Child Development
სოციალური მუშაობის მაგისტრი
პროექტის მენეჯერი
ტრენერი

ნინო ტაბიძე
სოციალური მუშაობის მაგისტრი
პროექტის მენეჯერი
ტრენერი

ირმა ბებერაშვილი
სოციალური მუშაობის მაგისტრი
პროექტის კოორდინატორი
ტრენერი

თეონა გოცირიძე
დოქტორანტი
სოციალური მუშაობის მაგისტრი
ტრენერი
ასოცირებული მკვლევარი

ქეთევან ლეკიშვილი
სოციალური მუშაობის მაგისტრი
წევრებთან ურთიერთობის კოორდინატორი
ტრენერი

ოჯოგი

მე ვარ, რადგან ვართ ჩვენ

სოციალური სოლიდაროგბის და საერთაშორისო კავშირეგბის გაძლიერება

სოციალური მუშაოგბის მსოფლიო დღე
16 მარტი, 2021
#WSWD2021

ifsw
www.ifsw.org

GASW-ის გუნდი მადლობას უხდის დონორებს და პარტნიორ ორგანიზაციებს ნდობისთვის და თანამშრომლობისთვის